№ 40 თებერვალი 24, სამშაბათი 1887 თებერვალი 24, სამშაბათი № 40

თბილისი

გაზეთი ღირს					
თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1887 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ პირველის მარტიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მ. 75 კ.

ტფილისი, 23 თებერვალი

როცა ბისმარკმა შეიტანა რეიხსტაგში თავისი სამხედრო კანონპროექტი და შვიდის წლით ითხოვა იმ კანონის მიღება, მაშინ უმთავრეს საბუთად ის წარადგინა, რომ თუ შვიდის წლით დაადგენთ ამ კანონს, ხომ მშვიდობიანობა ევროპისა არ დაირღვევაო და თუ სამის წლით — ომის ატეხა აუცილებელიაო. როგორც თვითვეულმა კაცმა ცალკე, ისეც რეიხსტაგმა საერთოდ ძალიან კარგად იცის, რომ სიტყვა ყოველთვის იმას არ ამბობს, რაც კაცს გულში აქვს და ამიტომაც რეიხსტაგი ბისმარკის მუქარას არ შეუშინდა და კანონი მიიღო მარტო სამის წლის ვადითა. ბისმარკმაც არც აცივა, არც აცხელა, აიღო და პარლამენტი დაითხოვა და ახალი არჩევანი დანიშნა, ესე იგი, გერმანიის ერი მოიწვია — გამოსთქვი არჩევანით ამ საგანზედ შენ რა აზრისა ხარო.

ამის შემდეგ, რასაკვირველია, მთელი ევროპა თითქმის გულისცემით უცქეროდა ამ არჩევანების გათავებას გერმანიაში. მართალი იყო თ. ბისმარკის მუქარა, თუ ტყუილი, ყველა კი ჰგრძნობდა, რომ განსაცდელი ან სამის წლით კანონის მიღებაში იმალავს თავს, ან შვიდის წლისაში. ამაზედ ევროპაში არავინ არ იჭვნეულობდა, უმიზეზოდ ესსაქმე ესე არ გამწვავდებოდა, ყველა ამას იძახოდა. აი დღეს არჩევანი თითქმის გათავებულია. 396 დეპუტატი, რომელიც საიმპერიო პარლამენტს გერმანიისას შეადგენს, უკვე ამორჩეულია; ზოგან თუმცა ხელ-ახლად არჩევანი უნდა მოხდეს, მაგრამ უამ არჩევანებოდაც ცხადია, რომ თ. ბისმარკმა გაიმარჯვა და გერმანიის ერმა თავის პარლამენტს ერთხელ კიდევ უთხრა, შენ „სუ“, როცა ბისმარკი ხმას იღებსო.

დღეს ოფიციალურად გამოცხადებულია სად რა კაცები ამოურჩევია გერმანიის ერსა: კონსერვატივები—75; საიმპერიო დასისა—34; ნაციონალ-ლიბერალები—84; შუა-გულ დასისა—90; თავისუფალმსჯელნი—14; სოციალისტი—6; ელზასელი — 15; პოლაკი — 13; ველფი—2, დანელი—1; იმისთანანი, რომელთ მიმართულება ჯერ არ იციან—2, და ხელ-ახლად ასარჩევი 60 კაცია კიდევ.

ამათში კონსერვატივები, ნაციონალ-ლიბერალები, საიმპერიო დასის კაცნი ერთგულნი ყურ-მოჭრილნი ყმანი ყოფილან ბისმარკისა, არიან და იქნებიან; დანარჩენები სულ ერთიანად ეწინააღმდეგებიან ბისმარკსა, რაც ძალი და ღონე აქვთ. ამ სახით გამოდის, რომ სამხედრო კანონის თაობაზედ ბისმარკს ახალს პარლამენტში ეყოლება ერთგულ მომხრედ 193 კაცი და მოპირდაპირედ—143. დანარჩენი 60 კაცი ხელ-ახლად ამოსარჩევი რომ სულ მოპირდაპირეთა დასის კაცნი გამოდგნენ, მაშინ, რა თქმა უნდა, პარლამენტში ათის კაცით ესენი აჯობებენ ბისმარკელებს, მაგრამ ამისი იმედი არავისა აქვს. ბევრი ბევრიო, ამბობენ მცოდნე კაცნი, ეს სამოცი კაცი შუა გაიყოსო და ოც-და ათი კაცი ერთს ერგოსო და ოც-და-ათი მეორესაო. თუ ესე მოხდა, მაშინ 223 კაცი ბისმარკს ეყოლება და 173 მის მოპირდაპირეთა.

ამ სახით ბისმარკის გამარჯვება უცილობელია, ეჭვი აღარაფრისაა, რომ გერმანიის პარლამენტი მიიღებს ბისმარკის სამხედრო კანონს შვიდის წლითა და ამ გზით იმპერატორს ვილჰელმს, ბისმარკს და მოლტკეს თავიანთი ძალიან მოწადინებული სურვილი აუსრულდებათ. რა იქმნება ამის შემდეგაო, ჰკითხულობს დიდი და პატარა და ვერავის გულ-დასაჯერი პასუხი ვერ მოუპოვებია. ევროპიის ჟურნალ-გაზეთობამ ამ ამოცანის ახსნისათვის ბევრს კალამს მოსტეხა წვერი, ბევრი მელანი ამოაშრო, ბევრ გვარად დღესაც რამდსა ჰქურის, გულთმისნობს, მაგრამ ჯერ ბეჯითად ვერა გაუგია-რა. ყოველს ამაში მეტის-მეტი საკვირველი ერთი რამ არის. დღევანდელს ევროპას სამი გასაშჭირებელი საქმე აქვს, სამივ მიზეზიანი და განსაცდელიანი: ერთი გერმანიის და საფრანგეთის შუღლი და მტრობა, მეორე ეგვიპტის საქმე და მესამე—ბოლგარიისა. აბა შენიშნეთ, თუ რაღაც ჯადოსნობა და თილისმა ხან ერთს იმოდენად არ გაამწვავებდეს, რომ კაცს შიშით გული უთრთის, ხან მეორეს, ხან მესამეს და საოცარი ეს არის, რომ როცა ერთი გამწვავდება, სხვა ორი მიყუჩდება, მისცხრება, თითქო არცა ყოფილა და არც არისო. ვისთვის რა ხელ-საყრელია, რომ პოლიტიკის მავთულები კუკებსავით ხან საფრანგეთს ამოახტუნებენ ხოლმე, ხან ეგვიპტეს, ხან ბედკრულს ბოლგარიას? სჩანს წყურვილი და სურვილი ვისიმე ამაებში ჯერ ხანად თავს იმალავს და სინჯავს,—ვნახოთ ვინ რომელის კუკის სანახავად მოვა და რა თვალით დააცქერდებაო. ჩვენის ფიქრით, ევროპა ამის ცდაშია და რადგანაც ჯერ ეს ცდა გათავებული არ არის და ჯერ კიდევ საქმეშია, ამიტომაც ჯერ ხანადვერავის ვერარა გაუგია — რა გამოვა რისაგან.

* * *

ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 23 თებერვალს, გამოცხადებისამებრ, იუბილეი გადიხადეს თ. ივანე ადამის-ძის ანდრონიკაშვილის 50 წლის სახელმწიფო სამსახურისა. 10 საათზედ დილით გუბერნიის მარშლის სახლში შეიკრიბა თავად-აზნაურობა და აქედგან გუბერნიის მარშლის წინამძღომელობით ყველანი წავიდნენ მეიუბილეიეს სახლში მისალოცავად. აქ გუბერნიის მარშალმა გუბერნიის თავად-აზნაურობის სახელით წარმოსთქვა მისალოცავი სიტყვა. მეიუბილეიემ პასუხი უგო და სხვათა-შორის სთქვა, რომ რაკი უმაღლესმა წოდებამ ჩემის ქვეყნისამ კეთილ-ინება ჩემის მცირედის ღვაწლისა გამო ეს პატივი მცა, მე სამართალი მიმიძღვის, რომ ეს პატივის-ცემა ჩემის სიცოცხლის გვირგვინად მივიჩნიოვო. შემდეგ მიულოცა დღესასწაული ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სახელითა ბანკის გამგებელმა. თორმეტის ნახევარზე ტფილისის სასამართლო პალატის მოსამსახურენი და ოლქის სასამართლოს წევრნი ბ-5 განჩაროვის წინამძღომელობით მოვიდნენ თ. ანდრონიკაშვილთან სახლში, მიულოცეს დღესასწაული და მიიწვიეს სასამართლო პალატის დიდს დარბაზში სამადლობელის პარაკლისის გადასახდელად. აქ, დარბაზში კარგად ბლომად მოგროვილიყო ქალი თუ კაცი. სხვათა - შორის ბძანდებოდნენ: ბარონი ნიკოლაი, გუბერნიის მარშალი ტფილისისა, სიღნაღისა, გორისა და დუშეთის მარშლებითურთ, ბ-ნი ქალაქის თავი, ბ-ნი გუბერნატორი ვიცე-გუბერნატორითურთ და სხვანი წარჩინებულნი პირნი, სამხედროსა და სამოქალაქო სამსახურისანი. პარაკლისი გადიხადა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ კრებულითურთ. პარაკლისის შემდეგ ეპისკოპოსმა ალექსანდრემ უთხრა მას სიტყვა; შემდეგ სიტყვის თქმითვე მიულოცა დღესასწაული უფროსმა თავს-მჯდომარემ პალატისამ ბ-ნმა განჩაროვმა და აუწყა, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ტაინი სოვეტნიკობა გიწყალობაო. მას შემდეგ ბ-ნმა განჩაროვმა სასამართლოს უწყებაში მოსამსახურეთაგან ერთობილი ადრესი წაიკითხა. თავს-მჯდომარემ დეპარტამენტისამა თ. ნ. ჭავჭავაძემ მიართვა მშვენიერი ალბომი მთელის სასამართლოს წოდების სახელითა. აქვე წაკითხულ იქმნა დეპეშა დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძისა მასზედ, რომ დიდის სიამოვნებით ნება დამირთვია, ჩემი სახე-სურათი მაგ ალბომში შიგ ჩართული იყოსო. ტფილისის მანდილოსანთა მიართვეს თავის მხრით დაფნის გვირგვინი. წარმოითქვა ბევრი სიტყვა

ფელეტონი

კიდევ ჩვენებურ გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა ვითარების გამო.

მეთერთმეტე ანგარიში სასოფლო გამსესხებელ-შემნახველ და სამრეწველო ამხანაგობათა კამიტეტისა (Одинадцатый Отчетъ Комитета о сельскихъ ссудо - сберегательныхъ и промышленныхъ товариществахъ).

სწორედ შარშან ამ დროს (იხ „ივერიის“ № 56) მთელის რუსეთის ათას სამას ორმოც-და-თოთხმეტის (1354) ამხანაგობათა რიცხვიდან, ასე ვთქვათ, ამოვკენკე ჩვენებურ ამხანაგობათა სახელები და მათი წლოვანება; მინდოდა, სხვა რომ არა იყოს რა, ჩვენშიაც სცოდნოდათ ჩვენისავე ამხანაგობათა, თუ მეტი არაფერი, სახელები მაინცა, თორემ თქვენ თითონ განსაჯეთ: ზემორე მოხსენებული კამიტეტი ეს მეთერთმეტე წელიწადია ყოველ წლივ გვიხსენიებს თავის „ანგარიშში“; არ ივიწყებს და ყოველ წელიწადს უხსენებს სახელს იმ ამხანაგობათაც კი, რომელნიც უკვე მიცვალილან და გასდგომიან გზასა მართალთასა. არ უნდა ვიფიქროთ კი, რომ კომიტეტს ისინი ცოცხლები ჰგონია; სრულებითაც არა, თითოეულს მათგანს ზედვე აწერია იმ ადგილს, სადაც შუბლი უნდა იყოს: გადაიცვალა დროთა ბრუნვის ამა-და-ამ ქორონიკონსა, წელსა, თვესა, დღესა, საათსა, წუთსა, წამსა, და ამა-და-ამ შავბედითს მთვარესაო. ახირებულია, თქვენმა მზემ! ვინც მიიცვალა და, გვეგონა, მოიპოვა კიდეც განსვენება ურვათაგან ამა სოფლისა, ამ კამიტეტისათვის რა დაუშავებია, რომ ყოველ წელიწადს ხელ-ახლად ჰბეჭდავს და არ ასვენებს?! მკითხველო, თუ თქვენც დამეთანხმებით, სწორედ ეს უნდა იყოს, რომ იტყვიან: „საუკუნოდ იყოს ხსენება მისიო“.

დიახ, იმას მოგახსენებდით: თქვენ თითონ განსაჯეთ-მეთქი, რომ საცა კამიტეტი მიცვალებულ ამხანაგობათაც კი არ გვიყენებს მოუხსენებლად, ჩვენ რატომ არ უნდა მოვიხსენიოთ ცოცხლები მაინცა. მაგრამ ის კამიტეტი, ვილაც არის, ალბათ ჰკვიანიც იქნება და იმით მოსდის მიცვალებულების გახსენება; ამიტომ ჩვენც გავიხსენოთ ისინი: იქნება ამით გავახსენოთ იმათ დამფუძნებელთ და მოთავეთა თავიანთი შეცდომანი და თავიანთ ნეკზედვე ვაკბენინოთ და (იქნება, ვინ იცის) ჩვენც გავიფიქროთ ჩვენს გულში: დიდ არს გულ-გრილობა, უკეთ რომ ვთქვათ, გულ-ცივობა ჩვენი საქმეთა მიმართ საქვეყნოთა...

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ კამიტეტს, რომელიც ყოველ-წლიურის «ატჩოტით» არ კმაყოფილდება და გაზეთსაც სცემს ამხანაგობათათვის (და ყველასათვის, ვინც კი კეთილ ინებებს წაკითხვას).

ამ გაზეთს, ან ჟურალს ჰქვიან „Листокъ“-ი (ფურცელი) და იბეჭდება პეტრეს ქალაქში. მისი ადრესია: С.-Петербургъ, Мойка, № 93. მე აქედგანვე ვარ დარწმუნებული, რომ გაიგებენ თუ არა ჩვენი მკითხავნი...უკაცრავად, მკითხველები ამ გაზეთის ადრესს, მაშინვე მისცვივდებიან ამ დღე-ბედნიერს „ლისტოკს“ და, რაც ხელის მოუწერლობით ჩვენებური ჟურნალ-გაზეთები დაუხოციათ, იმათს ჯავრს ამ ლისტოკზე ამოიყრიან: დაიკვეთავენ და დაიბარებენ ზღვათა ქვიშაზედ უმრავლესს. მაგრამ აქედგანვე უნდა ვიცოდეთ, რომ იმ გაზეთში საინტერესო არა მოიძებნება რა, რასაც დაინახავთ ამა პროგრამიდგან: იქ იბეჭდება ანგარიშები ამხანაგობათა, თუ როგორ გაუტარებიათ ზოგიერთ ამხანაგობათა ათი წელი თავის არსებობისა, ან ხუთი, ან მეტი, ან ნაკლები; რა მოუგია, რა წაუგია, რა უსესხნია, რა გაუსესხებია. იქვე სწერია, რომ არიან ამხანაგობანი სხვა ქვეყნებშიაც და სხვა ამისთანები. აქვე უნდა გავტყდე, რომ ეს „ლისტოკი“ წელიწადში ოთხ-ხუთ ნომრადაც ძლივს გამოდის, მაგრამ ამხანაგობათა საჭიროებას ამითაც აკმაყოფილებს. ხუმრობაგაშვებით, მე, ჩემის მხრით, ძრიელ ვუმადლი კამიტეტს ამ „ლისტოკისთვის“ და უკამიტეტოდ და მის უმზრუნველოდ ვერც კი წარმომიდგენია ამხანაგობათა არსებობა. კამიტეტის წყალობით ყოველი სათითაო ამხანაგობა გრძნობს თავის თავს წევრად საერთო ოჯახისა, თვალ-ყურს ადევნებს ამ ოჯახობის წევრთა (თვითეულ ამხანაგობათა) ცხოვრებას, ზრდას, წარმატებას და მათის გაცნობით სცნობს თავის თავს, ეწყობა საცხოვრებლად, მხნევდება. მგონია, 'შორი ნახტომი არ მომივიდეს, რომ შევადარო ჩვენი სასოფლო სასწავლებლები სასოფლო ამხანაგობათა და ჩვენი „წერა-კითხვის გამავრცელებელი“ საზოგადოება პეტერბურგელ კამიტეტს და ვინატრო, რომ ჩვენს «საზოგადოებასაც» შემოეგროვებინოს თავის გარშემო ჩვენებური სასოფლო სკოლები, დაეარსებინოს ამათთვის საკუთარი ორგანო, თუნდ იგივე „ნობათი“-ს მგზავსი ჟურნალი უკეთესის პედაგოგიურის განყოფილებით, რომლითაც, სხვათა შორის, გასცნობოდნენ სკოლები ერთმანერთს და ამ უკანასკნელთ კი გასცნობოდეს ჩვენი საზოგადოება...

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ამხანაგობათა.

	რიცხვი [illegible] სასწავლებლისა.	რიცხვი [illegible] ამხანაგობათა.
1881 წელსა		
ტფილისის გუბერნიაში. .	16	13
ქუთ. გუბერნიაში	17	10
1882 წელსა		
ტფილისის გუბერნიაში .	17	11
ქუთ. გუბერნიაში	19	12

სხვა-და-სხვა უწყების წარმომადგენელთაგან და ყველაზედ მეტად მოგვეწონა სილნალის მარშლის სიტყვა და სასამართლო პალატის სეკრეტარისა. შემდეგ ყოველ ამისა წაკითხულ იქმნა მრავალი დეპეშები სხვა-და-სხვა უწყებისა და კერძო კაცების მიერ გამოგზავნილი. სასიამოვნო ის იყო, რომ როცა ყოველისფერი გათავდა და თ. ანდრონიკაშვილმა დააპირა წამოსვლა, საზოგადოებამ ქართულად „მრავალ ჟამიერ“ უგალობა და ყველასაგან მოულოდნელად თითონ მოხუცმა მეიუბილეემ პასუხად უგალობა „მადლობელი ვარ“. სამჯერ უგალობეს «მრავალ-ჟამიერ» და მთელმა საზოგადოებამ ამ გალობაში მონაწილეობა მიიღო.

⁂ გუშინ-წინ, 22 თებერვალს, ქართულს თეატრში გამართული იყო ბ-ნ ალნიაშვილის ხოროს კანცერტი. სამწუხაროდ, ამ კანცერტს ნაკლებად დაესწრო საზოგადოება.

⁂ კვირას, 22 თებერვალს, ტფილისის საქალაქო სახელოსნო სასწავლებელის უფროსი შეგირდები იყვნენ კავკასიის მუზეუმში. მუზეუმის შესანიშნავს საგნებს და ნივთებს თვით სკოლის მასწავლებელნი აჩვენებდნენ შეგირდებს.

⁂ ქუთაისიდამ გვწერენ: ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში ამ თთვის რვას გამართული იყო პუშკინის პატივის-ცემისათვის სალიტერატურო და სამუსიკო დილა. მოსწავლე ქალებმა წაიკითხეს სხვა-და-სხვა თხზულებანი პუშკინისა. ზოგმა თავისი საკუთარი თხზულება წაიკითხა პუშკინის შესახებ დაწერილი. სხვათა შორის ამ სასწავლებლის მასწავლებელმა ბ-ნმა ნ. დ. მაჭავარიანმა წაიკითხა თავის თხზულება პუშკინის დროსა და ხანაზედ. ქალებმა იგალობეს ხოროდ. მკითხველი ქალი თექვსმეტამდინ იყო, მათ შორის ოთხი ქართველი ერია. ქართულს ენაზედ არის რამდენიმე თხზულება პუშკინისა გადმოთარგმნილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულად არავის არა წაუკითხავს-რა. ბოლოს იგალობეს ახლად დაწერილი ბ-ნის ზაგურსკისა, ამავე სასწავლებლის მასწავლებლის სამუსიკო პიესა—„პუშკინის ძეგლი“. როგორც ამ პიესამ, ისე საზოგადოდ მთელმა დილამ მეტად ასიამოვნა მსმენელები. საზოგადოება კი არც აქ დაესწრო ბლომად ისე, როგორც ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებელში.

⁂ გორიდამ გვწერენ: წელს იანვარში აი რამდენ ნაირი ჟურნალ-გაზეთები მოდიოდა გორის ფოსტის კანტორაში: „ივერია“—69, „კავკასი“—87, „ნოვ. ობოზ.“—9, „ტფ. ლისტ.“—2, „კავ. ობოზ.“—1, „მშაკი“—7, „არძაგანკი“—2, „ნორდარი“—8, „ახბიური“—3. თებერვალში უფრო იმატა ჟურნალ-გაზეთების რიცხვმა, მაგალითად, თებერვალში „ივერია“ 72 ნომერი მოდისო.

⁂ იქიდამვე გვატყობინებენ: ცოფიანმა მგელმა ამას წინად, სულ ერთი კვირა იქმნება, რამდენიმე კაცი დაჰგლიჯა ტირძნისში და არა შინდისში, როგორც «ივერიაში» იყო მოხსენებული. ტირძნისიდამ გამოვარდნილიყო სოფ. ტყვიავში და აქ დაეგლიჯა აზ. ქრისტესია კორინთელი. გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღომელმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო კორინთლის უბედურს მდგომარეობაში და საჩქაროდ მისწერა მაზრის უფროსს, რომ რამე ღონის-ძიებით დაეხმარნენ კ—ლს და ოდესაში გაჰგზავნონ მოსარჩენად. მაზრის უფროსს მიუწერია გუბერნატორისათვის, რომ რამე საშუალება მისცენ. თავად-აზნაურთა წინამძღომელს უთქვამს, რომ თუ ვინიცობაა გუბერნატორმა შემწეობა არ აღმოუჩინა, უნდა ფული მოვუგროვოთო. მაგრამ, ჩვენის მხრივ ვიტყვით, რომ ფულის მოგროვება დაგვიანდება და ვაი თუ მინამ ცოფმა უსწროს საბრალოს. ამიტომ უმჯობესი იქნება, რომ მთავრობა შაეწიოს ფულითა, სესხადაც არის მაინცა.

⁂ გაზ. «კავკ. ობოზ.»-ს გაუგონია, რომ შაბათს, 7 მაისს გამართული იქნება ტფილისში ებრაელთა მასკარადიო.

⁂ იგივე გაზეთი ამბობს, რომ არშაკუნის სახლი, რომელშიაც ზამთრობით „კრუჟოკი“ იყო ხოლმე, საკომერციო კლუბმა იქირავაო.

⁂ გაზ, „ნოვ. ობოზ.“ ამბობს, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს გაზაფხულზე გამოჰგზავნოს კავკასიაში რამდენიმე მთათა ინჟინერი და დაავალოს, დაწვრილებით გამოიკვლიონ ის ადგილები, სადაც ქვა-გუნდის მადნები იპოვებიანო. ინჟინერები უფრო მეტს ყურადღებას მიაქცევენ ქვა-გუნდის მადნებს სამტრედიის ახლო, აჯამეთთან და კიდევ სხვა ალაგებშიო.

⁂ იგივე გაზეთი ამბობს, რომ რამდენიმე ქველ-მოქმედს განზრახვა აქვს დაარსოს ისეთი იაფი სასადილო, სადაც შეუძლებელსა და ღარიბს ერთს შაურადა და 8 კაპ. შეეძლოს სადილობაო.

⁂ ვილაც შანცერი აპირობს ტფილისის ახლო-მახლო გაჰმართოს ლაბარატორია და თხლე-ჭაჭისაგან სხვა-და-სხვა ქიმიური ნივთიერება და ღვინის მარილი ამზადოსო, ამბობს ზემოხსენებულივე გაზეთი.

⁂ გაზ. «Новое Вр.»-ს სიტყვით, 17 თებერვალს პროფესორს თარხნიშვილს უნდა წაეკითხა ლექცია იმაზე, თუ როგორ უნდა ებრძოდეს კაცი სხვა-და-სხვა საწამლავსა. ლექციის საგნად უნდა ყოფილიყო შემდეგი: როგორ უნდა მოაწყოს კაცმა თავისი ცხოვრება, თუ ხანგრძლივი სიცოცხლე სწადიან; რისგან შესდგება კაცის აგებულება; რას ჰკარგავს გვამი მუდამ დღე და რა უნდა მიიღოს სამაგიეროდ. საჭმელი, მისი ავ-კარგიანობა; ხორცის ჭამის უარ-მყოფელთა აზრი; გავლენა სამარხვო საჭმელისა და ბევრი სხვა ამ გვარი საგნები.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

კახეთი, 11 თებერვალს. ბევრი რამ არის კახეთზედ სათქმელი და გამოსაქვეყნებელი, მაგრამ მომიტევეთ, რომ დღეს მარტო ამ ცოტას ხანში მომხდარ უბედურებაზედ მივაქცევ ცნობის მოყვარე მკითხველის ყურადღებასა.

ამ 1887 წელს იანვრის გასულს სოფ. ენისელში ერთს უსაცოდავეს გლეხს იაკო ნადირაშვილს დაეწვა ექვსის თთვის ვაჟი-შვილი. აი როგორ ყოფილიყო ეს უბედურება: ამ ბალღის დედა შუაღის ხანს აკვნიანის ბავშვით წასულიყო აქვე, ამ სოფელში მახლობლად მცხოვრებელ თავის დედასთან პურის გამოცხობაში საშველად. დიდედას შინ შეეტანა აკვანი, რომელშიაც ყმაწვილი წოლილიყო და ცეცხლის პირას დაედგა, გვერდით თავის ათის წლის შვილი დაესვა და თვითონ და თავის ქალი კი მეზობლის თონეზედ პურის გამოსაცხობად წასულიყვნენ. ბავშვს მოსწყენოდა მარტოკა შინ ჯდომა, გამოსულიყო გარედ და თავის ტოლებთან თამაშობაში გართულიყო. ბალღი აკვნიდგან გადმოკიდებულიყო, რადგანაც ხელ-ფეხი არტახებიდგან ალსნილი ჰქონოდა, აკვანი გადმოქცეულიყო და დაცემულიყო ზედ შუა ცეცხლზედ, რომელთანაც მეტად ახლო იდგა თურმე. ბალღს წაჰკიდებია ცეცხლი და სანამ სრულიად არ დამწვარა, ვერავის ვერა გაეგო-რა. ბოლოს მეზობლის ბიჭს სცემოდა ეზოში საშინელი ხრუკის სუნი, შეეხედნა ქოხში და, თქვენს მტერს, რაც იქ დაენახნა: ყრმა სრულიად დამწვარი შავად, მუშტის-ტოლად მოხრუკული, მიცვალებული და ცეცხლზედ მდებარე ყოფილიყო. დედამ და დიდედამ ბევრი თავში ქვა იცეს და ლოყები ილადრეს, მაგრამ რაღას უშველიდნენ—სალამოზედ მამაც მივიდა შინ სამუშაოდგან დაღლილ-დაწყვეტილი, და იმ იმედით, რომ ამაღამ ჩემ ცოლშვილთან მაინც ცოტას გავიხარებო,—თქვენმა დუშმანმა გაიხაროს ისე. მაგრამ მამა შვილისა რომ მეტის-მეტად არ გასწყრომოდა თავის მესამე ცოლს თვის ერთად ერთის შვილის დაღუპვისათვის, ასე მოატყუილეს: როცა ჩვენ პურს ვაცხობდით, მარტოკა მყოფს ბავშვს მავნე დასწოლოდა აკვანში და დაერჩოვო და სხ. ამ რამდენისამე წლის წინადაც დასწვოდა ამ კაცს შვილი თონეში.

შარშანწინაც მოხდა ამ გვარი საცოდაობა ს. ენისელში. გიორგა ქურცაძეს დაეწვა ექვსის წლის უშვენიერესი ქალი, რომელსაც თავის ტოლებთან ჩხუმალ-ჩხუმალით სახლის ეზოში ცეცხლაობა ეთამაშნა; აქ ბავშვს კაბაზედ მოჰკიდებოდა ცეცხლი; შინ გაქცეულიყო საშველად, მაგრამ გზაში ცეცხლი აგზნებულიყო, აბურბურებოდა კაბა და სინამ შინ მივიდოდა და მიეშველებოდა ვინმე, გულ-მუცელი დასწვოდა და ერთის კვირის შემდეგ მიიცვალა.

—

ამ ოთხის წლის განმავლობაში ეს ორი უბედურება დატრიალდა ცეცხლისაგან ამ სოფელში, მაგრამ რომ ვინმემ შეჰკრიბოს ცნობები იმაზედ, თუ უცეცხლობით რამდენი-ღა დაიღუპა,... დღეს ენისლელებს ნება აღარა აქვთ წინანდებულად ისარგებლონ სახელმწიფო ტყითა და იხადონ განწესებული საფასური. გიკვირთ, ჰკითხულობთ, როგორ იყო მაშ წინად, როგორ ცხოვრობდა ხალხიო და მაინც ვერ გაგიგიათ..

ამაზედ ვეცდები შემდეგ მოვილაპარაკო, ეხლა კი ვიტყვი მხოლოდ, რომ ენისლელები ბევრსა ცდილობენ და სთხოვენ ვისაც ჯერ არს, რათა მიენიჭოთ იგივე უფლება იმ ტყიდგან სარგებლობისა, რომლიდგანაც აქამომდე სარგებლობდნენ დადგენილის ფასით. წელს დიდი იმედი აქვთ, ნებართვას მიიღებთ ამაზედაო,...

ქირსა შინა გამაგრება
ისე უნდა, გით ქვითკირსაო.
ანუ ხსოვნა არა ჰქვამს ქირსა,
გით დღისა გარდასულსაო.

—

აი ერთი მხნევრალი უტყუობისა, თუმცა სხვა სოფელ'ში-კი მოხდა ის ამბავი, რომელსაც ეხლა მოგითხრობთ. ამ 1887 წელს, იანვრის 30 დღესა ერთი შაქრიანელ გლეხი, სოფ. რემიდგან გამოსახლებული, ჩუმად, მალულად შესულიყო თავ. ჯორჯაძეების საკუთარს ტყეში „ბურჯბზედ“, შაქრინს ხიდთან და ერთი დიდი ტოტი ეჭრა მაღლა ხეზედ. სალიდავს ტოტი ზედ დასცემოდა. ეტყობა ყვირილი არ დაეწყო, ვაი თუ მოსაშველებლად რომ მოვიდნენ, გამომჟღავნდეს ქურ-

---

	რიცხვ. დაარსებულ ამხანაგობათა	რიცხვ. მოქმედ ამხანაგობათა
1885 წელსა		
ტფილისის გუბერნიაში .	17	10
ქუთ. გუბერნიაში . . .	20	13
1886 წელსა		
ტფილისის გუბერნიაში .	17	10
ქუთ. გუბერნიაში . . .	20	12

ტფილისის გუბერნიაში დღეს მომქმედი ათი ამხანაგობა:

დაარსებული.

1) თიონეთისა. . . . 1874 წ.
2) საბუე-ენისლისა, 3) იერის-ხევისა, 4) ნაფარეულისა, 5) ყვარელისა . 1876 „
6) გურჯაანისა, 7) ახალქალაქისა, 8) რუისისა. . 1877 „
9) კარდანახისა. . . . 1879 „
10) თელავისა. . . . 1884 „

ამხანაგობანი ქუთაისის გუბერნიისა:

1) ჯიხაიშისა, 2) ხვანჭკარისა, 3) ქუთაისისა (საურთიერთო ნდობის საზოგად.), დაარსებულნი: 1876 წ.
4) ოზურგეთისა . . . 1878 „
5) ბანძისა . . . . 1880 „
6) ახალ-სენაკისა, 7) ბახვისა. . . . . . . 1881 „
8) ბუგეულისა, 9) საჩიჯაოსი . . . . . 1882 „
10) სუჯუნისა . . . 1883 „
11) კუხისა და გუბისა. 1884 „
12) ხიდის-თავისა (გურიაში). . . . . . 1885 „

აქედან სჩანს, რომ ჩვენს ორ გუბერნიაში მომქმედ ოც-და-ორს ამხანაგობათაგანს უმეტესობას ათ-ათ წელიწადზედ მეტი გაუტარებია თავის არსებობისა და იმისთანაც არ ურევია დანარჩენთ შორის, რომ ორი-სამი წლის დაარსებული მაინც არ იყოს. მე მგონია ეს გარემოება (რიცხვი ამხანაგობათა და მათი დღეგრძელობა) ნებას არ გვაძლევს ესთქვათ: ჩვენში ამხანაგობანი ახლად მოსულის თოვლისავით მოეფინენ ჩვენს ქვეყანას და იმავე თოვლსავით გადნენ, გაიპარნენო. ან კიდევ, როგორც პატივცემული თ. ვ. თარხან-მოურავი ბრძანებს: «ეხლა კი, სამწუხაროდ, მხოლოდ სამი ან ოთხი მოქმედებსო...»

ეგ ერთობ დამცირებაა. მე რომ მკითხოთ, 22 ამხანაგობა ჩვენში, რუსეთის ამხანაგობათა რიცხვთან შედარებით რომ ესთქვათ, ბევრიც არის, რადგან ამხანაგობათა რიცხვი მცხოვრებთა რიცხვს უნდა შევუთანაბროთ და ამ საბუთით, თუ ჩვენში 22 ამხანაგობა მოქმედებს, რუსეთში ორი ათასამდის ამხანაგობა მაინც უნდა მოქმედებდეს; იქ კი დღეს მომქმედ ამხანაგობათა რიცხვი ათასზედ ცოტა მეტია (1051). რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოქმედებს, ბევრია თუ ცოტაა, ეს 22 ამხანაგობა; სასიცოცხლონი არიან თუ არა იგინი, ეს იმისთანა საგანია, რომელზედაც გადაწყვეტილის პასუხის მოცემას ვერავინ გაჰბედავს, და თუ გაჰბედავს, შესცდება, რადგან ჩვენებურ ამხანაგობათა შინაგანს ცხოვრებას, მათს წარსულსა და აწმყოს, ავსა და კარგს საიდუმლოების ზეწარი აქვს გადაფარებული ჩვენთვის და ჩვენისავე წყალობით.

ვინ არის დღეს ჩვენში, რომ ჩვენებურ ამხანაგობათა ავი და კარგი სინამდვილესთან დაახლოვებით იცოდეს, ვინ არის ჩვენში, რომ მათზედ ზრუნავდეს? რომელი დაწესებულებაა? რომელი კერძო პირია? რედაქციები არიან ჩვენებურ გაზეთებისა? თავად-აზნაურთა ბანკების გამგენი არიან? თუ ის კამიტეტია, რომელიც, როგორც ამბობენ, უნდა ვითომ არსებობდეს ჩვენებურ ამხანაგობათა დარაჯად და შემწე-მფარველად, მაგრამ რომლის არსებობა საეჭვოდ მიაჩნია თითონ ამ კამიტეტის ალფასა და ომეგას, პატივცემულს პ. უმიკაშვილს?!

სწორედ მოგახსენოთ, იმ კამიტეტისაგან, რომელსაც ისე ღრმად სძინავს, რომ საომარი ყიჟინა და განგაშიც ვერ აღვიძებს, ხეირს არას უნდა მოველოდეთ, რომ კიდეც გაიღვიძოს. ისევ სჯობს, რომ არ გაიღვიძებდეს და წამიერის თვალის ხამ-ხამით არ მოატყუებდეს ქვეყანას, რომ მას ვითომღა ჰღვიძავს, რადგან მისი თვალის გახელა ეგვანება ზარმაცის ერთის გვერდიდან მეორეზედ გადაბრუნებას მერმე და მერმე მშვიდობით დასაძინებლად.

მაშ ვუთხრათ ნანინა მძინარე კამიტეტს და ლექსად ჩამოუთვალოთ დახურულ ამხანაგობათა სახელები. ტფილისის გუბერნიაში დახურულან ამხანაგობანი: 1) ოძისისა, 2) ტფილისისა, 3) ტყვიავისა, 4) ბორჯომისა, 5) ვაქირისა და ანაგისა, 6) კურდღელაურისა და 7) კავთისხევისა. ქუთაისის გუბერნიაში: 1) ონისა, 2) ყვირილისა, 3) ხონისა, 4) მანდიკორისა და 5) სვირისა. აქვე უნდა მივათვალოთ შემდეგი სამი ამხანაგობა, რომელთაც წესდება დაუმტკიცებინებიათ, სადაცა ჯერ იყო, და არსებობა განუზრახავთ, მაგრამ გამართულან თუ არა, ამაზედ ჯერ არას სწერენ კამიტეტს. ესენი არიან ამხანაგობანი: 1) სიმონეთისა (წესდება დამტკ. 1881 წ.), 2) კულაშისა (1882 წ.) და 3) ყვაუთისა და აბედათისა (1883 წ.).

აქ თავის თავად იბადება შემდეგი საკითხავი: რა უნდა იყოს მიზეზი, რომ ამხანაგობა პირველს დაარსებას, წესდების იმტკიცებს და ვერ კი იმართება, ალუყვევებლად სჭენება; ან, ესთქვათ, კიდეც მთაბრმა დაარსება, ერთი ორი წლიწადი კიდევ იბოგინებს და მერე ისევ უკუ-იქცა საუკუნეს მიმართ არა-არსებისასა? პასუხად ამ საკითხავისა მოვიყვან ცნობას სამის ამხანაგობის ცხოვრებიდამ. ამ სამის ამხანაგობის ცხოვრებას დაახლოვებით ვიცნობ.

ნარი

(დასასრული იქნება)

ღობით. მარტოს-კი ვერ მოეშორებინა ტოტი და ზედ მეორე ტოტზედვე მიეჯყლიტნა ზემოდამ დაწოლილს ტოტსა. მეორე დღეს მიცვალებული ნახეს მაღლა ხეზედ და გაისტუმრეს სამარეში. იწვება იქ საცოდავი უდარდელად, უტანჯველად, მეორედ მოსვლამდის სული მისი იქ განისვენებს...

—

აი კიდევ უბედურება. სოფ. შილდაში წელსვე თებერვლის დამდეგს დილით ადრე ღამიანად მამა და შვილი თურმე ტყეში მიდიოდნენ სამუშაოდ. გამოვიდნენ თუ არა ეზოდგან, იქვე ახლო სოფლის-პირში ორ-ღობეში სცემოდა ერთი მგელი მამას ყელში და ჩაედო ქვეშ, ასე რომ ხმაც არ ამოეღებინებინა. შვილს ეტაცნა ხელი მგლისთვის უკანა ფეხში (შვილი პატარა ბიჭიაო) და გაეშვებინებინა კბილები; ერთი მაგრად ეთუთქებინა ნაჯახი წელში და მიწაზედ დაეცა. მგელს სდომებოდა იმისთვისაც ეკბინა, მაგრამ მარტო სახე ჩამოეკაწრა კლანჭებითა. ყვირილზედ მოჰშველებოდნენ მეზობლები და თოფით მოეკლათ დაჭრილი, წელ-მოწყვეტილი მგელი, მერე შუაზედ გაეჭრათ საწყლებს და ორივენი შიგ გაეტარებინათ, მითამ და აღარ გაცოფდებიანო. ასეთია ამათი ცრუ რწმუნება. ამბობენ, მგელი უთუოდ ცოფიანი უნდა ყოფილიყო, თორემ არ შეჰბედავდა კაცსაო. მამას ისე საშინლადა აქვს ყელი გამოღადრული მგლის კბილებისაგან, რომ იმის გადარჩენა შეუძლებელია, თუნდა დაცოფილიც არ იყოსო. ავად-მყოფს შინაურულად სწამლობენ ერთი კვირაა მას აქედ და გაცოფებისა არა ეტყობარა, ყელი კი ისე დასივებია, რომ მთელი ტანი დაუჭერია.

საზოგადოდ წელს აქეთკენ მეტად გამრავლდნენ ცოფიანი ძაღლები და ნადირნი. ძალიან მგლიანობაა ჩვენს გზებზედ და სოფლებში ღამ-ღამე. ნეტა რა დაახეტებთ ამდენს, ამ ოხრებსა და ამ ვერნებსა...

—

აი კიდევ უბედურება. ამ თებერვლის შვიდს ღამე სოფ. საბუეში ერთს ახატლელს თათარს, რომელიც აქა სცხოვრობდა ერთი წელიწადი, მოჰპარეს კიდობანი, რომელშიაც 1,007 მან ფული ყოფილიყო; ამასთან სპილენძის თულუხი და თუნგიც გაეყოლებინათ. დამნაშავენი ჯერ ვერ უპოვნიათ. ეჭვი დიდოელებზედ არის მიტანილი. ხუთი მათგანი უკვე გაიგზავნა თელავში გამომძიებელთანა. აქამდისინ ჩვენი მხარე ამ თათრებისაგან იყო აკლებული, ეხლა დიდოელები სჯობნიან. თათრებს უფრო ეხერხებათ ცხენის პარვა და გზებზედ ყაჩაღობა. დიდოელები კი შეუდარებელნი არიან სახლის გაქურდვაში, თუმცა საქონლის პარვა და გზებზედ ცარცვა ამათთვისაც სასიქადულო საქმეა, ოღონდ-კი მოახერხონ როგორმე.

ამ ხანად კახეთში ძალიან კარგი დარებია, ამინდი შეზავებულია მზიანის დღეებით და მშვიდობიანის თოვლჭყაპით, ასე რომ „უკეთესს ველარ ინატრებს კაცის უძღომელი გული“. გლეხებს მეტად უხარიანთ: მოსავალს კარგი პირი უჭირავსო. დღეს კი შუადღისას, სწორედ იმ დროს, როდესაც მთვარე უნდა გადაბრუნებულიყო, აღმოსავლეთის ნიავმა დაიწყო სისინი და ცოტა აცივდა. ვნახოთ, რას მოგვიტანს.

წელს სოფ. ყვარელში საზოგადოებამ აკრძალა მაგარის სასმელებით ვაჭრობა და არც ერთს მედუქნეს არ მისცა ნება-რთვა ამაზედ, მაგრამ ერთს მოვაჭრეს მაინც, რაღაცა მანქანების ძალით, აუღია სავაჭრო ბილეთი და ვაჭრობსო. საქმე გამომძიებელსა აქვს გარდაცემული, რადგანაც, როგორც ბოროტნი სულნი ამტკიცებენ, მოწმობა ყალბიაო. ვნახოთ რა გამოვა აქედგან. სოფ. ენისელშიაც არ მისცა სოფელმა არყითა და ღვინით ვაჭრობის ნება აქაურ მედუქნეებს, მაგრამ აქაც მოახერხეს და გასტეხეს სოფლის პირი ვინ და ან როგორ მოახერხა, ამას არ ვიტყვით. საკმაოა მხოლოდ აქ ეს დავასახელოთ, რომ როცა ჰკითხეს ამის მომქმედს, რად უყავი ასეთი საქმე სოფელს, რად გასტეხე მისი პირიო, იმან ასე უპასუხა თურმე: ხაზინა იზარალებდაო და მე მოვალე ვიყავი, რომ დამეცვა ხაზინის ინტერესებიო. მოდით და ამის შემდეგ ბრძანეთ, რომ ჩვენში დიდის საქმეების გაგება არ არსებობს. მახლას, პროგრესია მა რა ჯანაბაა?!

ნ. ხ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

იანვრის გასულს ოსმალეთმა დაჰკარგა ერთი საუკეთესო მწერალი და თავ-განწირული საზოგადო მოღვაწე ბეშირ-ფუად-ბეი, რომელმაც ხელის ძარღვები გაიხსნა, დაიცალა სისხლიდამ და ისე მოიკლა თავი. ეს კიდევ არაფერი. სისხლით შესვრილის ხელით სწერდა თან, როგორ ელეოდა ძალა და როგორ უახლოვდებოდა სიკვდილი.

სტამბოლელი კორრესპონდენტი გაზ. „Нов. Вр.“-ში ამბობს, რომ

> ფუად-ბეის სიკვდილი დიდი დასაკლისია ოსმალეთისათვისაო. რამდენისამე წლის განმავლობაში ამ მეცნიერმა კაცმა დასწერა და დაბეჭდა ოცამდე სამეცნიერო და სალიტერატურო თხზულება და ამასთანავე გაზეთის „ხაკიქატის“ მუდმივ თანამშრომლად ითვლებოდაო.

რა აზრების კაცი იყო ფუად-ბეი? რას ჰფიქრობდა, რას სწერდა თავის სამშობლო ქვეყანაზე და რით დაიმსახურა ოსმალთა სიყვარული?

> ფუად-ბეი ევროპიულად განათლებული კაცი იყო. აღტაცებით ქადაგობდა, რომ ოსმალეთში ევროპის განათლებას უნდა ფართო გზა მიეცესო. ოსმალეთმა უნდა უარ-ჰყოს თავისი ძველებური ამაოდ-მორწმუნებანი და, თუ სიკეთე უნდა თავის-თავისათვის, უნდა დაუწაფოს ევროპიულს სწავლასა და მეცნიერებასაო.

რამდენადაც ცენზურა ნებას თურმე აძლევდა, ნიჭიერი და უშიშარი ფუად-ბეი გამწარებით ებრძოდა კალმით შეიარაღებული ოსმალეთის საზოგადოების უმეცრებას, მდაბიო ხალხის ცრუ-მორწმუნოებასა, ფაშების მექრთამეობასა და მტარვალობასა.

> ბევრი ხანი გაივლის და ბევრი წყალი ჩაივლის, რომ ოსმალეთს მალე არ გამოუჩნდეს ფუად-ბეის სამაგიეროდ მეორე ისეთივე სახელოვანი ნიჭიერი მწერალი და მამულის შვილიო.

⁂

იგივე კორრესპონდენტი ახირებულს ამბებს მოგვითხრობს ხონთქარის ჰარამხანაზედ. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ხონთქრის ჰარამხანისათვის წელიწადში ერთხელ ერთი ახალ-გაზრდა ლამაზი ქალი უნდა იშოვონ და მიართვან საჩუქრად ხონთქარს იმის დაბადების დღეს.

> აი ამ ჩვეულების გამო რამდენისამე თვის განმავლობაში დაწრწიან კაცები საუკეთესო ვარდის მოსაძებნად. ბოლოს, როცა იპოვიან ყოველისფრით შემკულს და საოცარ ლამაზს ყმაწვილს ქალს, მიჰგვრიან ხონთქრის ნათესავებსა, რომელთაც უნდა მოამზადონ, რომ რიგიანად მიეგებოს თავის ბრწყინვალე ბედს—დიდს და უმაგალითო ბედნიერებას.

ხონთქრის ნათესავების კაცებს წელსაც ბევრი უვლიათ ლამაზის ქალის საძებნელად და, ბოლოს, რის ვაი-ვაგლახით უპოვნიათ ერთი მეტად მშვენიერი ჩერქეზის ქალი და დაუბინავებიათ აბდულ-ჰამიდის სახლში.

> ეს ქალი 16 წლისა იქნება და ორის თვის შემდეგ ძღვნად მიჰგვრიან ხონთქარს. ამბობენ, რომ სცდილობენ ცოტაოდენი განათლება მისცენ ამ ქალსაო: ასწავლიან ენებს, მუსიკას, კარგს ქცევას და ცოტა-მატა პოლიტიკის ამბებსაცა.

პოლიტიკის ამბები საჭიროა იცოდეს თურმე, რადგან ჰარამხანას უპოლიტიკოდ ცხოვრება არ შეუძლიან და მთელის ჰარამხანის ცხოვრება, მისი გართობა სულ საპოლიტიკო ჭორებსა და მითქმა-მოთქმაზეა დამოკიდებული.

მაგრამ ყველაზე მეტად ჰზრუნავენ თურმე ამ ლამაზის ქალის ჯან-მრთელობაზე:

> ერთის თვის წინად, ამბობს იგივე კორრესპონდენტი, შეჰკრიბეს საუკეთესო ექიმები სტამბოლისა და სთხოვეს, თქვენი აზრი სთქვით ლამაზის ჩერქეზის ქალის ჯან-მრთელობაზეო.

ექიმებსაც გამოუკვლევიათ, რა ჯანის პატრონია ჩერქეზის ქალი და შეუდგენიათ ამის გამო შესაფერი განაჩენი. სტამბოლის საზოგადოება დიდის ყურადღებით ადევნებს თურმე თვალ-ყურს ყოველს ამასა და სრულიად გულ-გრილად ექცევა თავის მსწავლულსა და ნიჭიერს კაცებს.

> თვით ხონთქარი კი ძალიან მწყალობელია თურმე ნიჭიერის კაცებისა და დიდს მფარველობას უწევს ხელოვნებას. ხონთქარს ძრიელ უყვარს მეტადრე ხელოვნება და ხშირად უხვად ასაჩუქრებს არტისტებსა და შველის სკოლებსაო.

ამბობენ-კი, ფუად-ბეიმ იმიტომ მოიკლა თავი, რომ ვალებში ჩავარდა, რადგან ექიმებმა ურჩიეს, რაც შეიძლო გაერთე და მხიარულად იცხოვრეო. მხიარულს ცხოვრებას ვალები მოჰყვა და საუკეთესო პუბლიცისტმა სიკვდილი არჩია სისაწყლით სიცოცხლესაო.

უცხოეთი

გერმანია. კლერიკალების გაზეთი „Osservatore Romano“ ამბობს: ჩვენ ძალიან მოხარულნი უნდა ვიყვნეთ იმისა, რომ ბისმარკმა გაიმარჯვა და არჩევნები მთავრობის სასარგებლოდ ბოლოვდება, რადგან ამით უფრო მეტი იმედი გვეძლევა, რომ მშვიდობიანობა და წესიერება დაცული იქნება და ომი არა-აუცილებელიო.

— ამავე ამბის გამო „Opinione“ იმას ამბობს, რომ თუ გერმანიის მთავრობის სასარგებლოდ ბოლოვდება არჩევნები და თუ დარწმუნებულნი არიან, რომ მთავრობა გაიმარჯვებს და კანონპროექტი შვიდის წლით იქმნება დამტკიცებული რეიხსტაგის მიერ, ეგ კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ მშვიდობიანობა მაგარს ნიადაგზედ იდგესო...

— გაზ. „Germania“ ამბობს, თუ ახალად ამორჩეულმა რეიხსტაგმა დაამტკიცა მთავრობის სამხედრო კანონ-პროექტი შვიდის წლით, ის ახალი რაზმები ქვეითა ჯარისა, რომელიც კანონ-პროექტის დამტკიცების შემდეგ იქმნებიან შედგენილნი, მეცხვანე ჯარად გამწესდებიან სტრასბურგშიო.

— ანტვერპენიდგან აუწყებენ გაზ. «Berliner Tageblatt»-ს: იმის გამო, რომ ამ ბოლოს დროს ოფიციალური გაზეთები ომის ხმას ავრცელებენ, გერმანიიდგან ბევრნი იხიზნებიანო. მაგალითებრ, 19 თებერვალს ნიუ-იორკში 1,200 კაცი წავიდა და 200—300 კაცი კიდევ წაუსვლელი დარჩა, რადგან გემზე ადგილი ვერ იშოვნეს და იძულებულ იყვნენ, მეორე გემს მოჰლოდინებოდნენო. უმეტესად გესსენისა, ვირტემბერგისა, ბადენისა და ელზასის მკვიდრნი იხიზნებიანო...

ინგლისი. გაზ. „Daily Telegraph“-ი ამბობს: ამ ჟამად ინგლისის თოფ-ზარბაზნის მქარხნეებთან ხუთს დიდს სახელმწიფოს მოლაპარაკება აქვს და უნდათ შეუკვეთონ რამდენიმე მილიონი ტყვია თოფისა და ზარბაზნისათვისაო. საფრანგეთი ორის წლით შეეკვრა ერთს ქვა-ნახშირის საზოგადოებას და ქვა-ნახშირი შეუკვეთა გემებისათვისაო.

ავსტრი-ვენგრია. გაზ. „Standard“-ს აუწყებენ პეშტიდგან, რომ ვენგრიაში დიდ-ძალს ცხენებსა ჰყიდულობენ და იტალიაში გაჰყავთო. ჯერ მარტო რკინის გზით რამდენიმე ათასი ცხენი ჰყოლებათ გაყვანილიო. ის გარემოება, რომ ავსტრი-ვენგრიის მთავრობამ ნება მისცა იტალიას ავსტრი-ვენგრიიდგან ცხენების გაყვანისა, აშკარად ამტკიცებს, რომ იტალიისა და ავსტრი-ვენგრიის მორის მეგობრული დამოკიდებულება სუფევს და ერთმანერთთან ძალიან დაახლოვებულია ეს ორი სახელმწიფოვო.

ოსმალეთი. ოსმალეთსაც გადაედო საერთო სენი შეიარაღებისაო, ამბობს სტამბოლელი კორრესპონდენტი გაზ. „Times“-ისა. მაგალითებრ, სამხედრო მინისტრს ოსმალეთისას ბრძანება მიეცა, რომ სია შეადგინოს, თუ სულ რამდენი ზარბაზანი და იარაღი აქვს ოსმალეთს ამ ჟამად, რა მდგომარეობაშია საზოგადოდ ოსმალეთის ჯარი და მთავრობას მოახსენოს; ამასთან თავის მოხსენებაში სამხედრო მინისტრს ისიც უნდა ჰქონდეს ნაჩვენები, თუ რამდენი ხარჯი იქმნება კიდევ საჭირო, რომ ოსმალეთის ჯარი სრულიად მომზადებული იყოს... ამას გარდა ყველა თემის გუბერნატორებს ბრძანება დაურიგდა, რომ შეჰკრიბონ ცნობები და მთავრობას წარუდგინონ, თუ რომელს თემში რამდენი კაცი შეიძლება ჯარში იქმნეს გაყვანილი ახალის კანონის თანხმად. ამ ახალის კანონით, ჯარში უნდა გაყვანილ იქმნენ ყველა ის ოსმალეთის ქვეშევრდომნი, რომელნიც არ იქმნებიან 17 წლისაზე ნაკლებნი და 40 წელს გადაცილებულნიო.

გასართობი

ქალების გასაფრთხილებლად! ფოტოგრაფებს მოუგონიათ ერთ-გვარი საფოტოგრაფო მანქანა, რომელიც ერთს წამს იღებს მთელის ქუჩის, სახლების, ბულვარის და ბულვარზედ მოსეირნე ხალხის სურათს. ფოტოგრაფებმა, რასაკვირველია, არ იციან, რომ ბევრი იქნება ძალიან მადლობელი არ გაუხდეს ამისთანა სამსახურისათვის და ძალიან ეწყინოს კიდეც. მაგალითებრ, საფოტოგრაფო ფანჯრის წინ დადგა ერთი ხანში შესული ქალი და დააცქერდა ერთს სურათს. ამ სურათზედ გადაღებული იყო მთელი ფრიდრიხშტრასეს ქუჩა მოსეირნე ხალხით. დედამ სურათზედ თავისი ქალი იცნო, ელიზა ვიღაც ყმაწვილ-კაცს ელაპარაკებოდა; ხანში შესული ქალი საფოტოგრაფოში შევიდა და იყიდა სურათი. ნახევარ საათის შემდეგ დაუწყო გამოკითხვა თავის ქალს. ელიზა უარს შედგა.

— მე ნამდვილად ვიცი; რომ შენა და შენს მუსიკის მასწავლებელს ერთად გისეირნიათ.

ელიზა თავს იქნევს და „არა“-ოს იძახის.

აგერ დედამ ჯიბეში ხელი ჩაიყო, ამოიღო ფოტოგრაფიული სურათი და აჩვენა ქალს. ქალმა დახედა სურათს, წამოწითლდა და თავი ჩაღუნა. იმავე დღეს მუსიკის მასწავლებელი დაითხოვეს.

* *

საკვირველი ამბავი. ვოსლარის ერთს 30 წლის მცხოვრებმა იგრძნო თურმე, რომ მარცხენა ფეხის გულში რაღაცა სჩხვლეტდა წალა-წინდა გაიხადა და უფრო მეტი ჩხვლეტა იგრძნო. ფეხის გული კარგად რომ გაისინჯა, ნემსის წვერი დაინახა. წალის გახდის დროს ნემსი უკანვე შეძვრა, მაგრამ როგორც იყო გამოაძრეს. ნემსი სულ ერთიან გაშავებულიყო, აღარც წვერი ჰქონდა და აღარც ყუნწი, ორივე თავი დასჩლუნგებიყო. ამ კაცს სიყმაწვილეში, როცა ოთხის წლისა ყოფილიყო, ნემსი ჩაეყლაპა და ოც-და-ექვსი წელიწადი ეს ნემსი თურმე დასეირნობდა ამ კაცის სხეულში და არც აწუხებდა. ამისთანა ამბავი იშვიათი არ არის და ბევრი კაცია, რომელსაც ნემსი ჩაუყლაპავს, მეტადრე თერძებში და მკერვალ-ქალებშია ხშირი ამისთანა ამბავი. საკვირველი უფრო ის არის, რომ ეს ნემსი რამდენისამე წლის შემდეგ უეჭველად ფეხის გულზედ გამოჰყოფს ხოლმე თავსა.

* *

ჯამბაზი სასამართლოში. ბრიუსელის სასამართლოში 4 თებერვალს შემდეგი სასაცილო ამბავი მომხდარა: ერთს ცირკში მოუწვევიათ ორი ჯამბაზი და თითოსათვის 3,720 მანათი დაუნიშნავთ წელიწადში ჯამაგირი. ერთი ჯამბაზი უნდა ძირს მდგარიყო, მეორე კი ზედ შეხტომოდა პირველს და ეჯამბაზნა. ცირკის პატრონს თურმე სხვამა სთხოვა, შენი მეზურგულე ჯამბაზი მე დამითმე და ამდენს და ამდენს ფულს მოგაგებინებ ამ თავითვეო. ცირკის პატრონი დათანხმდა და დაუთმო მეზურგულე ჯამბაზი. რა-კი ის დაითხოვა, მეორეც უნდა გაესტუმრებინა, რადგან ერთი უმეოროდ უსარგებლო იყო და ვერაფერს წარმოადგენდა. ისეც მოიქცა ცირკის პატრონი, მაგრამ ჯამბაზმა არ უყაბულა თურმე და საჩივარი შეიტანა სასამართლოში, რომ მთელის წლის ჯამაგირი უნდა გადაიხადოსო. ჯამბაზის ვექილმა სასამართლოში დიდხანს ილაპარაკა ჯამბაზის საქმეზედ და ბოლოს დაუმატა თურმე: ბ-ნი მოჩივანი საუკეთესო ჯამბაზი გახლავსთ, ბ-ნო მოსამართლევ, მშვენიერის მალაყების გადასვლა იცის და თუ თქვენი ნებაც იქნება, აქვე გაჩვენებთ თავის სიმარჯვესაო.“ ეს სიტყვები არ დაესრულებინა თურმე ჯერ ვექილს, რომ წინ წამოდგა ჯამბაზი და მოსამართლეს მხრებზედ შეახტა. ამ ამბავზე ყველა სასამართლოში მყოფთ ხარხარი დაიწყეს და სხვათა შორის ვექილსაც გაეცინა, რადგან არ მოელოდა, რომ მომჩივანი ასეთი გულ-სწრაფი და მოუთმენელი კაცი იყო.

დეპეშა

21 თებერვალი

პეტერბურგი. „Петербург. Вѣст.“-ი გვაუწყებს: გაზეთების ამბებს სილისტრიაში სამხედრო აჯანყების თაობაზე ამტკიცებენ ცნობანი საიმპერატორო მთავრობის აგენტებისა, რომელნიც რუმინიაში იმყოფებიანო. ამ ცნობებიდამ სჩანს, რომ აჯანყება

მოსპობილ იქმნა და ერთმა ნაწილმა სილისტრიის მეციხვანეთაგან რუმინიისკენ დაიწია. ხოლო იმათ, განც ვერ მოასწრო თავისთვის ეშველნათ, როგორც ისმის, სარეგენტო მთავრობა მსწრაფლად განასამართლებსო. შემდეგ გაზეთი საუთუოდ ამბობს, რომ, შეიძლება აჯანყების მიზეზი უჯიათი ქცევა იყოს რეგენტებისაო. შეიძლება ბოლგარიის აფიცრებმა ვერ მოითმინეს და გულ-გრილად ვერ დაუწყეს ცქერა იმ გარემოებასა, რომ ბოლგარიის ჯარი ხელში სათამაშებელი შეიქმნა ერთის საპოლიტიკო დასისა და გულის წყრომით აღვსილებმა აჯანყება განიზრახესო. უთუოდ აჯანყება აჩქარა იმ ამბავმაც, რომ სტამბოლში მოლაპარაკებით არაფერი არა გარიგდა-რაო. ამ მოსაზრების შემდეგ „Прав. Вест."-ი ამბობს: „საიმპერატორო მთავრობა გულითა სწუხს ამაოდ სისხლის ღვრის გამო და ჰხედავს, რომ სილისტრიის აჯანყება ახალი დასამტკიცებელი საბუთია იმისა, თუ რამდენად შეუწყნარებელია და უსამართლო ის მდგომარეობა, რომელშიაც ჩავარდნილია ბოლგარია. მაინც საიმპერატორო მთავრობა იმედს არა ჰკარგავს, რომ დრო იმუშავებს და გარემოება აღადგენს ამ ქვეყანაში ისეთს წესიერებას, რომელიც საიმედოდ უვნებელ ჰყოფს სამართლიანსა და კანონიერს უფლებას ბოლგარიის ერისასა. ამიტომ საიმპერატორო მთავრობას განზრახვა აქვს ამ საქმეში კვლავაც ისე მოიქცეს, როგორც აქამდე იქცეოდა. მთავრობის აზრი და შეხედულება ამ საქმეში წინად რამდენჯერმე იყო გამოცხადებული თვით მთავრობის წერილებითაო."

უმთავრესმა სამხედრო სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა საჩივარი თერგის ყაზახების ჯარის მეორე განყოფილების ატამანისა, გენერალ-მაიორის ეგლაუსი, რომელიც განასამართლა ოლქის სამხედრო სასამართლომ და მსჯავრი დასდო ყალბობისათვის.

რუშჩუკი. აქ აჯანყება იმით დაიწყო, რომ მაიორმა უსუნოვმა დაიჭირა პრეფექტი და მთავრობის დასის აფიცრობა; მაგრამ ორმა ბატალიონმა რეგენტობის მხარე დაიჭირა და შებრძოლა აჯანყებულებს ბრძოლამ მთელი დღე გასტანა და გათავდა აჯანყებულთა დამარცხებით; ერთი ნაწილი აჯანყებულთა დაჰნებდა, ხოლო მეორე ივლტოდა. რაზგრადით და ტირნოვოთგან მთავრობის დასის ჯარები დასახმარებლად მოდიან. სწრაფი სამხედრო სასამართლო უკვე მოქმედობს რუშჩუკში. ამბობენ, რომ დამნაშავეთა დასჯა დაწყებულაო.

სტოკჰოლმი. მეორე პალატა დათხოვნილია და ახალი რეიხსტაგი მოწვეულია 2 მაისისათვის.

სოფია. რიზა-ბეი ურჩევს რეგენტებს, დაუთმეთ რუსეთს, მოიგეთ მისი გული და ამით დააკმაყოფილეთ მისი თავ-მოყვარეობაო. ამასთანავე რიზა-ბეი აჩემებით ითხოვს, სამხედრო მინისტრად რუსის გენერალი დანიშნეთო. სარეგენტომ გამოაცხადა, რომ ჩვენც გულით გვსურს რუსეთთან მორიგება, მზადა ვართ დავთმოთ ის, რაც ბოლგარიის ინტერესებს ხელს არ შეუშლის. ჩვენ მზადა ვართ, გულ-მოდგინებით მივყვეთ თქვენს რჩევასაო.

22 თებერვალი

პეშტი. ვენგრიის დელეგაციამ ერთ-ხმად გარდასწყვიტა, რომ გადიდოს ფული შეიარაღებისათვისაო. ხანგრძლივის გამათხობის შემდეგ მინისტრმა ტისსამა სთქვა: იმედი მაქვს, რომ ამის გარდა სხვა ხარჯი აღარ დაგვჭირდება, ხოლო, თუ ეს იმედი არ გამიმართლდაო, დაუმატა მინისტრმა, ყველა ვენგრიელნი მზად იქმნებიან ყოველ გვარი მსხვერპლი გასწირონ ტახტისა და სამშობლოს დასაცველადაო.

ბერლინი. დაახლოვებით გამოანგარიშებულია, რომ ახალად არჩეულ დეპუტატთა შორის 221 კაცი მთავრობის მომხრეა და 176 კაცი მოწინააღმდეგე.

რუშჩუკი. სწრაფმა სამხედრო სასამართლომ გარდუწყვიტა: 9 სამხედრო სამსახურში მყოფს კაცს სიკვდილით დასჯა, 6 მოქალაქეს 15 წლით და 1 აფიცერს 3 თვით ციხეში დამწყვდევა. უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა საერთოდა სთხოვეს მთავრობას ბოლგარიისას, რომ სიკვდილით დასჯა ჯერ-ჯერობით გადასდეთ და დრო მიეცით მსჯავრ-დადებულთ, რომ სარეგენტო მთავრობას სასჯელის შემსუბუქება სთხოვონო. დანარჩენ მეამბოხეთა ამბავი ჯერ არაფერი ისმის.

ბუქარესტი. რუშჩუკიდგან მოვიდა ამბავი, რომ დღეს დილით დაუხვრეტიათ მარტო ისინი-კი არა, რომელთაც სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გარდაწყვეტილი, არამედ ის ამბოხებაში მონაწილენიც-კი, რომელთაც სასამართლომ დატუსაღება განუჩინაო. ხვალ სწრაფი სამხედრო სასამართლო გაასამართლებს უნტერ-აფიცრებსა და სხვა დაბალის ხარისხის ჯარისკაცთაო.

23 თებერვალი

პეტერბურგი. „Новое Время" იუწყება, რომ სმა დადისო, ვითომც თამბაქოს მონოპოლია მიღებულია დედა-აზრად.

პეტერბურგის ბირჟა, 20-ს თებერვალს ფასები:

	მყიდველისა	გამყიდველისა	გარიგებისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	— »	— »	9 20
ტამოჟნის კუპონები	— »	— »	— »
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— »	— »	242
— მეორისა	— »	— »	235½
გირავნობის ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა	97	— »	— »
ქუთაისის ბანკისა	97	— »	— »
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— »	85	— »

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აღდგომა—5 აპრილს, ამაღლება 14 მაისს, სულის წმინდის მოსვლა 24 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

თებერვალი 28 დღით არის

24 დღე სამშაბათი. პოვნა თავისა წმ. იოანე წინა-მორბედისა. კათოლ. მათესი და ვიტოლდისა. მე-14 დღე ჯემად-ულ-ახირის თვისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11; ტფილისში მზე ამოდის 6—23, ჩადის 6—0.

25 დღე ოთხშაბათი. წმ. ტარასი არხიეპისკ. კათოლ. ვიქტორინასი, ფელიქსისა და ცეზარისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11; ტფილისში მზე ამოდის 6—22, ჩადის 6—1. მთვარე 15 დღისაა.

26 დღე ხუთშაბათი. წმ. პორფირი ეპისკოპ. შობა მისს იმპ. დ. იმპერატორის ალექსანდრე ალექსანდრეს-ძისა, 42 წლ. კათოლ. ალექსანდრესი და ფორტუნატისა. მუსულ. მე-16 დღე ჯემად-ულ-ახირის თვისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 6—20, ჩადის 6—2; მთვარე ამოდის 7—17 საღ.

27 დღე პარასკევი. მოწ. პროკოპი ეპისკ. კათოლ. ლეონარდისა და ანასტასიასი. სომეხ. მე-12 დღე დიდ-მარხვიდგან. მუსულ. მე-17 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1304 წ. ჰიჯრისა. უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა წესდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, 1850 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 6—18, ჩადის 6—3. მთვარე 17 დღისაა.

28 დღე შაბათი. ვასილი აღმსარებელ. მოწ. ნესტორ ეპისკ. კათოლ. რომანისა და რუფინისა. სომეხ. წმ. კირილე იერუსალიმელისა და სხ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 6—17, ჩადის 6—4.

მარტი 31 დღით არის

1 დღე კვირა. ღირს. ქალწ.-მოწ. ევდოკიასი. კათოლ. ეპისკ. ალბინისა და ანტონინისა. გარდაცვალება იმპერატორის ალექსანდრე ნიკოლოზის-ძისა, 1881 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 6—15, ჩადის 6—5. მთვარე 12 დღისაა.

2 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. თეოდორასი. კათოლ. იმპ. ელენასი, ამელიასი და სიმფორიანისა. მუსულ. მე-20 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ტახტად ასვლა მ. დ. იმპერატორის ალექსანდრე III-სი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9. ტფილისში მზე ამოდის 6—14, ჩადის 6—6.

3 დღე სამშაბათი. წმ. მოწ. ევტროპ, ზენონ და ზოილისა. კათოლ. კუნეგუნდისა და კორნელიასი. მუსულ. გარდაცვალება ხალიფის აბუბექარისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9. ტფილისში მზე ამოდის 6—12, ჩადის 6—7.

კერძო განცხადებანი

თფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს საცნობლად მშობელთა, რომელთაც შვილები მოუბარებიათ სათავად-აზნაურო სასწავლებლის პანსიონში საკუთარს ხარჯზე, რომ უკანასკნელი ვადა ხვედრის ფულის სრულად შემოტანისა არის მდგომარე წლის პირველი მარტი. ვინც აღნიშნულს ვადაზე არ შემოიტანს ფულს, დათხოვნილ იქმნება პანსიონიდგან. ფულის შემოტანს ბარათი გაეგზავნება ფოსტით ფულის მიღებისა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შვიდ-კაპეიკიან მარკას გამოგზავნის ფულთან ერთად.

(5—5)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

1887 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თვით	10 მ. — კ.	6 თვით	6 მ. — კ.
11 „	9 „ 50 »	5 „	5 „ 25 »
10 „	8 „ 75 »	4 „	4 „ 75 »
9 „	8 „ — »	3 „	3 „ 50 »
8 „	7 „ 25 »	2 „	2 „ 75 »
7 „	6 „ 50 »	1 „	1 „ 50 »

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ."

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი, სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისთვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

„КАВКАЗСКОЕ ОБОЗРѢНІЕ"

(ЕЖЕДНЕВНАЯ ГАЗЕТА).

Съ 1-го января 1887 г., въ г. Тифлисѣ, будетъ выходить ежедневно, не исключая и послѣ воскресныхъ дней, политическая, литературная и юридическая газета „*Кавказское Обозрѣніе*" (съ торгово-промышленнымъ отдѣломъ), по слѣдующей программѣ:

I. **Статьи по вопросамъ:** а) теоріи и практики права и судопроизводства, экономическимъ, финансовымъ, государственнымъ, международнымъ, общественнымъ, по обычному праву и статистикѣ; б) русской и иностранной общественной жизни, политики и литературы; и в) промышленнымъ: нефтяному, винодѣлію, шелководству, марганцовому дѣлу и др.—II. **Обозрѣніе правительственныхъ распоряженій.**—III. **Судебное обозрѣніе** (судебные отчеты и кассац. рѣшенія).—IV. **Общественное Обозрѣніе** (отчеты о засѣданіяхъ общественныхъ собраній и ученыхъ обществъ).—V. **Тифлисское и Кавказское обозрѣнія** (новости и корреспонденціи).—VI. **Русское обозрѣніе.**—VII **Иностранное обозрѣніе.**—VIII. **Обозрѣніе русской и иностранной періодической печати**; критика и библіографія.—IX. **Торгово-промышленное обозрѣніе** (торгово-промышленныя свѣдѣнія и курсы).—X. **Фельетонъ:** романы, повѣсти, разсказы о явленіяхъ общественной жизни стихотворенія.—XI. **Послѣднія новости и телеграммы.**—XII. **Смѣсь.**—XIII. **Театръ и музыка.**—XIV. **Справочный указатель** (резолюціи Тифлисскихъ судебныхъ установленій по дѣламъ апелляціоннымъ и кассаціоннымъ и пр.).—XV. **Объявленія.**

Газета будетъ помѣщать корреспонденціи изъ большей части городовъ и селеній Кавказскаго края, изъ С.-Петербурга, Москвы, Нижняго-Новгорода, Одессы, Варшавы и др. городовъ, а также Тегерана, Константинополя и Парижа.

Въ газетѣ примутъ участіе многіе столичные и кавказскіе корреспонденты и извѣстные писатели.

Пріемъ подписки, объявленій и розничная продажа въ Тифлисѣ- 1) *въ редакціи газеты*—Сололаки, Нагорная улица, № 21; 2) *въ типографіи „Кавказскаго Обозрѣнія"*—Дворцовая улица, каравансарай (бывшій) Арцруни, и 3) *въ Центральной книжной торговлѣ.*

Подписная цѣна на газету (съ доставкою и пересылкою): на 12 мѣсяцевъ—12 руб., на 6 мѣс.—6 руб. 50 коп., на 3 мѣс.—3 руб. 50 коп., на 1 мѣс.—1 руб. 50 коп. **Служащіе пользуются разсрочкою и уплачиваютъ: при подпискѣ, 1-го января и 1-го августа по 4 р.**—*Отдѣльные №№ по 5 коп.*—Объявленія—строка петита 5 коп., *при неоднократныхъ объявленіяхъ дѣлается уступка.*

Газета будетъ печататься въ типографіи „*Кавказскаго Обозрѣнія*" (Н. И. Френкель). **Типографія исполняетъ всевозможныя типографскія работы.**

Редакторъ-издатель **А. С. ФРЕНКЕЛЬ.**

Дов. ценз. Тиф. 23 февраля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე